გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2024 წლის 30 მაისი

ქ. გარდაბანი

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 01/05/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.161.016575) დამტკიცებულ დანართში და

1) დანართის მეორე მუხლის მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ჯილდო გაიცემა მხოლოდ იმ სპორტსმენებზე, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებულ სპორტულ ფედერაციებს.“;

2) დანართის მეოთხე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის 1.5 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.5 ვეტერანთა შორის“;

ბ) მესამე პუნქტის 3.5 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.5 ვეტერანთა შორის“;

გ) მეოთხე მუხლის 4.5 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.5 ვეტერანთა შორის.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მიხეილ გედეხაური**